ფურიეს ჯერადი ტრიგონომეტრიული მწკრივების წრფივი მეთოდებით შეჯამებადობის შესახებ

ლერი გოგოლაძე

leri.gogoladze@tsu.ge

მათემატიკის დეპარტამენტი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უნივერსიტეტის ქ. 2

განიხილება მრავალი ცვლადის ფუნქციათა მათი ფურიეს ჯერადი ტრიგონომეტრიული მწკრივების წრფივი საშუალოებიდან გადახრის შეფასება. სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ შეფასება განხორციელებულია ფუნქციის კვაზიპოლინომებით საუკეთესო მიახლოების ტერ-მინებში. აგრეთვე ნაპოვნია პირობები, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს წრფივი მეთოდები, რათა მიღებული შეფასება იყოს საბოლოო.